თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3886831

ნომერი: AR1585349

თარიღი : 16.03.2018

გაცემის თარიღი : 27.03.2018

გაცნობის თარიღი : 27.03.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროსადგური ,,ახმეტელის თეატრი" , მიმდებარედ , ნაკვეთი 16/090 ; ქალაქი თბილისი , მეტროსადგური ,,ახმეტელის თეატრი" , მიმდებარედ , ნაკვეთი N307 ; ქალაქი თბილისი , მეტროს სადგურ "ახმეტელის თეატრი"-ს მიმდებარე ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თემურ კვირცხალია პ/ნ 01001009860
- თბილისი გლდანის დას. მამკოდის ქ. N 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 5 მ-მდე სიგრძის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის მქონე შენობა-ნაგებობა ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის #20–104 დადგენილების მე–2 მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, სამსახურის ერთ–ერთი მიზანია „მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (შემდგომში თბილისი) ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება,“ ამავე მუხლის ,,ტ’’ ქვეპუნქტის თანახმად, თბილისის ცალკეული უბნების რეკრეაციული სივრცეების, გამწვანებული ტერიტორიების, გზების, მოედნების, გზაჯვარედინების, ავტოსადგომების და ა.შ. დაგეგმარების ორგანიზება, ხოლო ამავე მუხლის ,,ფ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამსახური უზრუნველყოფს მის ფუნქციებში შემავალი თბილისის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესების მოდელირებას, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზს, საპროექტო ვარიანტებისა და მიღებული გადაწყვეტილების შეფასებას. ზემოხსენებული დადგენილების მე–3 მუხლის მე–2 პუნქტის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების თანახმად, სამსახურს თავისი ფუქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს, „განიხილოს შენობა–ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეხამება“ და „მოამზადოს თბილისის მხატვრული იერსახის შემდგომი გაუმჯობესებისათვის საპროექტო–საინვესტიციო წინადადებები.“

სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით ამ კონკრეტულ ადგილზე თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოების განხორციელება (ჯიხურის ტიპის, მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობის განთავსება) და მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

ასევე რეკომენდაციის სახით გაცნობებთ, რომ შესაძლებელია მოეწყოს მხოლოდ მსუბუქი ღია ტიპის ობიექტი , მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული განთავსება შენობის გარეთ,სერვიტუტისგან თავისუფალ ტერიტორიაზე , ხოლო უშუალოდ შენობაში ან მის ნაწილზე განათავსებს არქიტექტურის თანხმობა არ ჭირდება(აღნიშნული ადგილზე AR1566698 განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციის განხილვის შედეგი ეცნობა განმცხადებელს №3765450 გადაწყვეტილებით და სამსახურის პოზიცია ამ ეტაპზეც უცვლელია).

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.